სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №127
(გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საბიბლიოთეკო წიგნების შესყიდვა)

ქ. თბილისი **„20" ივლისი 2016 წელი**

ერთის მხრივ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნინო თოფურიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ტაო" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია ბერიაშვილის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10[1]-ე მუხლის 3-ე პუნქტის "ი" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ***<u>საბიბლიოთეკო წიგნების - CPV 22113000 შესყიდვა.</u>*** შესყიდვა შემდეგი ოდენობით:

	დასახელება	**რაოდ.**	**ერთ. ფასი**	**თანხა**
1	იამზე ვაშაკიძე-ქართული ენის პრაქტიკული კურსი და აკადემიური წერის საფუძვლები	**20**	**25**	**500**
	ჯ ა მ ი :			500

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს: ***<u>500(ხუთასი) ლარს.</u>***

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება ***<u>ამავე უნივერსიტეტის 2016 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სახსრების ფარგლებში.</u>***

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარება

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა ან/და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2016 წლის 20 ივლისიდან 25 ივლისამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. *შემსყიდველი უფლებამოსილია:*

- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

6.2. *შემსყიდველი ვალდებულია:*

- უზრუნველყოს მიმწოდებლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
- უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის უფროსი რაისა ნიჟარაძე.

7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, 2 (ორი) ეგზ შემსყიდველთან და 1(ერთი)ეგზ მიმწოდებელთან.

"შემსყიდველი"

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61
ს/კ 205224700
მიმღების ბანკი _ სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი _TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _7 0904 7004

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ნინო თოფურიძე

"მიმწოდებელი"

შპს „ტაო"
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 73
ს/კ 405127161
ს. ს. "თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22
ანგ.№ GE71 TB7979236080100005

დირექტორი
მაია ბერიაშვილი